ახალი ხარაგაული

№441 (16) 6 დეკემბერი, 2021 წ.

ხარაგაულის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარ-ნოემბერს. კობა ლურსმანაშვილმა თავის მოხსენებაში ვრცლად ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებზე, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალურ პროგრამებზე. მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მმართველობის პერიოდში შეიცვალა მერიაში მართვის მენეჯმენტი და მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები დაინიშნენ.

,,კანონიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, კოლეგიურობა, ობიექტურობა-ეს ის ძირითადი პრინციპებია, რითაც ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ მერიაში დასაქმებული საჯარო მოხელეები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ სოლიდარულია. არ გვაქვს დაწესებული მოქალაქეთა მიღების დღეები, ნებისმიერ დროს მერის კაბინეტი ღიაა ყველასათვის. ჩვენს საქმიანობაში პრიორიტეტი მოსახლეობა და მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაა. დიდი გულისხმიერებით ვუდგებით ნებისმიერ საკითხს და შესაბამის სამსახურებთან ერთად, ვსახავთ მოგვარების გზებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მე და ჩემმა გუნდმა მოვახერხეთ, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეგვეცვალა მუნიციპალიტეტში. ამ ერთი წლის განმავლობაში ხარაგაულში განხორციელდა უპრეცედენტო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, დიდი ყურადღება მიექცა სოციალურ და ჯანდაცვის სფეროს. გარდა ამისა, მაქსიმალურად შევუწყვეთ ხელი ახალგაზრდების საჯარო სამსახურში დასაქმებას.

აქტიურად და კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ სამხარეო ადმინისტრაციასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მაჟორიტარ დეპუტატთან და სხვა უწყებებთან. სწორედ გუნდური და ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ ხარაგაულში ამდენი კარგი და საჭირო პროექტი ხორციელდება.“-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

მერის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 11 მილიონ ლარამდე დაიხარჯა. ძირითადი პრიორიტეტი მიენიჭა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და ბეტონის საფარი დაიგო ისეთ სოფლებში, სადაც კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა. გარდა ამისა, განხორციელდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები, რეაბილიტირდა საჯარო სკოლები, აშენდა ახალი საბავშვო ბაღები და სხვა.

2021 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 5 521 191 ლარი გამოეყო. აღნიშნული თან-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაკომპლექტდა

3 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომა ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, გია ცისკაძემ, გახსნა. ბატონმა გიამ კიდევ ერთხელ შეაჯამა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები და ახლად არჩეულ დეპუტატებს ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. სხდომას, კანონის თანახმად, საკრებულოს უხუცესი წევრი– ამირან ოქრომჭედლიძე უძღვებოდა. საწყის ეტაპზე შეირჩა ხმის დამთვლელი კომისია, რომელიც სამი წევრისგან (ვერა ოდიკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, ავთანდილ ვეფხვაძე) დაკომპლექტდა. ასევე დროებითი სამანდატო–საპროცედურო კომისია, რომლის წევრებად ლენა აბაშიძე, დოდო ხაჩიძე და ავთანდილ კვინიკაძე შეირჩნენ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა გახლდათ. უმრავლესობამ ამ თანამდებობაზე მანანა ბარბაქაძის კანდიდატურა დაასახელა და, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, საკრებულოს 24-მა წევრმა ქალბატონ მანანას დაუჭირა მხარი. საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დავით კიკნაძე აირჩა, მოადგილეებად - პაატა გოგოლაძე და ამირან ოქრომჭედლიძე.

ამავე დღეს, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის საკითხს, რომელსაც შალვა ლურსმანაშვილი უხელმძღვანელებს. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები გახდნენ: ნონა ზურაბიანი, უშანგი ბერაძე და ირმა სებისკვერაძე.

საკრებულოში შეიქმნა ასევე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილია. მოადგილეები: ქეთევან ზუმბაძე და ბაქარ ბარბაქაძე.

სხდომაზე აირჩიეს საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, რომელიც ასევე ფარული კენჭისყრით მიმდინარეობდა.

იურიდიულ, სამანდატო–საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ ოთარ ლურსმანაშვილი აირჩა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას პავლე კიკალიშვილი უხელმძღვანელებს.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ხვედელიძე გახდა.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის პოსტი ბესიკ კვირიკაშვილმა დაიკავა.

რაც შეეხება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიას, მას შმაგი ხიჯაკაძე უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულო 33 დეპუტატით დაკომპლექტდა. აქედან, მანდატების უმრავლესობა (24 მანდატი) პარტია ,,ქარული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ მოიპოვა.

თბილისში გამოფენა - „მუზად ქცეული ხარაგაული“-მოეწყო

თბილისში, გალერეა ,, Silk Factory Studio -ში“, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის რეჟისორისა და მსახიობის იზა ვეფხვაძის ორგანიზებით, ხარაგაულში შექმნილი ფერწერული ტილოების გამოფენა მოეწყო.

გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მხატვრების მიერ შექმნილი ხარაგაულის ხედები, ნატურმორტები, პორტრეტები, კომპოზიციები, მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კვიჟინაძე და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

აქვე გეტყვით, რომ აღნიშნული ნამუშევრები შექმნილია, სამხატვრო პლენერ ,,გამაზე“, რომელიც ხარაგაულში უკვე ექვსი წელია, ტარდება.

,,ეს დღე მნიშვნელოვანია ხარაგაულისთვის, მისი კულტურული ცხოვრებისათვის. უპირველესად მინდა, გამოვხატო პატივისცემა მათ მიმართ, ვინც ამ შესანიშნავ ღონისძიებაში ჩაერთო.

რაც შეეხება ლიტერატურულ თეატრს და მის დამფუძნებელს, ქალბატონ იზას, ვფიქრობ, ის კიდევ ბევრს შეძლებს კულტურული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ხელისუფლების განწყობაა, რეგიონებში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კულტურის სფეროს. სწორედ ამიტომ, ხარაგაულში კულტურა და ახალგაზრდობა, სხვა მიმართულებებთან ერთად, პრიორიტეტად გამოცხადდა. “-აღნიშნა შეხვედრაზე ხარაგაულის მერმა.

შეგახსენებთ, რომ გამოფენა ,,აბრეშუმის გალერეაში“ სამი დღე გაგრძელდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს მერის მრჩეველთა საბჭო გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი ხელმძღვანელობდა. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის გაცნობა გახლდათ.

მერის პირველმა მოადგილემ, რომელიც საბიუჯეტო მიმართულებას კურირებს, ვრცლად ისაუბრა ფინანსური დოკუმენტის ძირითად მიმართულებებზე და იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც მომდევნო წელს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, იგეგმება. ვარლამ ჭიპაშვილმა ხაზგასმით განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტი კვლავ სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებაა.

თავის მხრივ, საბჭოს წევრებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი წინადადებები გააცნეს და რიგ საკითხებზე რეკომენდაციები გასცეს. მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტში საგრძნობლად გაზრდილია სოციალური პროგრამების დაფინანსება. ასევე კმაყოფილება გამოთქვეს, რომ სოფლებში დიდი ყურადღება ექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

შეხვედრა ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ვარლამ ჭიპაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავი პასუხები გასცა. დასასრულს კი თითოეულ მათგანს აქტიურობისთვის მადლობა გადაუხადა.

,,მაქსიმალურად ვცდილობთ, დავიცვათ გამჭვირვალობა და ჩვენი სურვილია, ბიუჯეტის შედგენის პროცესში აქტიურად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება. მრჩეველთა საბჭო კი ძალიან კარგი რგოლია მოსახლეობის ინტერესების ჩვენამდე მოსატანად. დიდი ყურადღებით ვისმენთ მათ მიერ დაყენებულ საკითხებს და, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ვმსჯელობთ პრობლემების გადაჭრის გზებზე. მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს იმისათვის, რომ აქტიურად თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის მერთან და მერიასთან. “-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მრჩეველთა საბჭო ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებისგან არის დაკომპლექტებული. საბჭოს საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის მერმა კობა ღურსმაგაშვილმა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ხით, 29 სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო. ასევე დიდვაკეში მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, დიდვაკეში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საერთო სარგებლობის კიბეებს, შეიცვალა ხუთსართულიანი ბინის სახურავი, რომელიც ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 786 ლარით დაფინანსდა.

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, 2021 წელს ხარაგაულის მერიამ 1 200 000 ლარი მიიღო. აღნიშნული თანხით დაბა ხარაგაულში, ბაზრის ტერიტორიაზე, გზის ნაპირდამცავი კედელი აშენდა - ღირებულება 439 439 ლარი;

სოფელ ლეღვანში, კიბაბოურის უბანში, მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელი - ღირებულება 349 000 ლარი; გარდა ამისა, ცენტრალურ გზაზე დასრულდა გაბიონების მშენებლობა-ღირებულება 147445 ლარი;

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა დაზიანებული ხიდებისა და მილხიდების აღდგენა (საერთო ჯამში 7 ობიექტი აღდგა) - ღირებულება 175300 ლარი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიან დასახლებებს და მაქსიმალურად ხორციელდება ყველაფერი იმისათვის, რომ მოსახლეობა სოფლად დამაგრდეს.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ხარაგაულის 11 სოფელს აქვს მინიჭებული, რომელთა უმრავლესობაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. მიმდინარე წელს მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 650 000 ლარით ორი პროექტი-გედსამანიისა და ზვარის გზების რეაბილიტაცია - დაფინანსდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მონაწილეობა მიიღო ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ - საგრანტო კონკურსში, რომლის ფარგლებში, 619 170 ლარი ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის მიიმართა.

საგრანტო პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში გამოიყოფა თანხები ხარაგაულის შემოსასვლელში, ე.წ ,,დევების“ ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 282 165 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 890 000 ლარი გამოეყო. მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხები ძირითადად მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მიიმართა. პროგრამაზე, თანადაფინანსების სახით, მერიამ 193 000 ლარი გამოყო და, საერთო ჯამში, 148 პროექტი განხორციელდა.

დასრულდა ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. ეს არის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ამ ხეობის მცხოვრებთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამუშაოების განსახორციელებლად 8 730 100 ლარი დაიხარჯა.

სრული კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზის 21-კილომეტრიან მონაკვეთს. ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს ,,New Road“, სამუშაოებს 14 288 888 ლარად ასრულებს.

ხარაგაულში ინფრასტრუქტურული მიმართულებით განსახორციელებელ პროექტებზე გარკვეული პრობლემები არსებობდა. იყო პროექტები, რომლებიც 2018 -2019 წლებში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ვერ დასრულდა. მიმდინარე წელს მოხდა ამ პროექტების განახლება. გაიმიჯნა დარჩენილი სამუშაოები, გაზრდილი ღირებულება კი შეივსო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 284 564 ლარით. ჯამში ასეთი 10 პროექტი იყო, რომლებიც უკვე დასრულდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სულ მალე ახალი წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა ექნება. პროექტის ღირებულება 1 890 360 ლარია.

ასევე, დაბა ხარაგაულის მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს, რისთვისაც 6 მილიონ ლარამდე იხარჯება.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სამ სოფელში ბუნებრივი აირი ჩაირთო. ლაშე, კიცხი და ფარცხნალიეს ის სოფლებია, რომელთა გაზიფიცირება 2020-2021წ.წ. მოხდა. ასევე გაზის მაგისტრალი მოეწყო სოფელ ვარძიაში.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, რეაბილიტაცია უტარდება ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს. დაგეგმილია სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერების განახლება, რაც სრულიად შეცვლის და გაალამაზებს ხარაგაულის იერსახეს.

2021 წელს საღანძილეში აშენდა საბავშვო ბაღი. ამ სოფელში სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ფუნქციონირებდა. პროექტის ღირებულება 720 000 ლარია. შენობა ორსართულიანია და 50 აღსაზრდელზეა გათვლილი.

მიმდინარე წელს ბაღის ახალი შენობა აიგო ვერტყვიჭალაშიც. სოფელში იყო საბავშვო ბაღი, თუმცა შენობა იყო ამორტიზებული. პროექტის ღირებულება 720 000 ლარია.

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის განათლება პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები სისტემატურად ხორციელდება. 2020-2021 წ.წ. სოფელ კიცხში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. პროექტზე 2 420 643 ლარი დაიხარჯა.

2021 წელს განხორციელდა სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია - პროექტის ღირებულება 2 000 000 ლარი;

მარელისის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 2 000 000 ლარი; მარელისისა და ვერტყვიჭალის სკოლები ასევე აღიჭურვა ახალი ინვენტარით.

სოფელ მოლითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 36 500 ლარი;

დაბის მე-3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (შეიცვალა შენობის სახურავი) - პროექტის ღირებულება 33,382 ლარი;

სოციალური და ჯანდაცვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მიმდინარე წელს ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე 1358,9 ათასი ლარია გათვალისწინებული.

საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში 870,9 ათასი ლარი დაიხარჯა და დახმარება 4277 მოქალაქეს გაეწია.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ,,სათნოების სახლი“, რომლის მომსახურების არეალი 2021 წელს გაიზარდა. ამჟამად უფასო სადილს კვირაში ექვსი დღე იღებს 105 ბენეფიციარი. გარდა ამისა, ახლომდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი) 30 ბენეფიციარს, კვირაში ორი დღე, მზა საკვები ადგილზე მიეწოდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აქტიურ პოლიტიკას ატარებს კოვიდპანდემიის პრევენციის მიზნით. ა(ა) იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რაც საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროტოკოლებით არის განსაზღვრული. მუნიციპალიტეტში ტარდება როგორც PCR კვლევა, ასევე ანტიგენ ტესტი. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოქალაქეთა ბინაზე ტესტირებაც.

რაც შეეხება ვაქცინაციას, ორ ლოკაციაზე -ხარაგაულისა და ბორითის კლინიკებში-ხორციელდება. იმისათვის, რომ მოქალაქეები შეუფერხებლად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ტრანსპორტირებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებამდე, უზრუნველყოფს ხარაგაულის მერია. მერია ასევე აქტიურ კომუნიკაციაშია კოვიდინფიცირებულთა ოჯახებთან, ხდება მათი დახმარება საჭიროებებიდან გამომდინარე.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018,9 ათასი ლარით, თუმცა, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, შემოსულობები გაიზარდა 9 892,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 17 911,8 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს მიიღო 13 969,4 ათასი ლარის შემოსულობები, რაც წინა პერიოდთან შედარებით 1 511,1 ათასი ლარით მეტია. შემოსულობების მატება წინა წელთან შედარებით, გამოწვეულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, ასევე საკუთარი შემოსულობების გაზრდით. მუნიციპალიტეტმა ათ თვეში უკვე მიიღო 6 972,4 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა საგზაო ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები, გეგმა შესრულდა გადაჭარბებით.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განისაზღვრებოდა 9090,1 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის ხარჯები გაზრდილია 12 705,3 ათასი ლარით და შეადგენს 21 795,5 ათას ლარს. განვლილ ათ თვეში ფაქტობრივად დაფინანსდა 15 583,3 ათასი ლარის ხარჯები. მუნიციპალიტეტმა შეძლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სხვადასხვა პროგრამაზე დაეხარჯა 3 001,0 ათასი ლარით მეტი.

ყველაზე მეტი ხარჯი გაწეულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და შეადგენს 8 613,6 ათას ლარს;

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტზე დაიხარჯა 921,4 ათასი ლარი;

განათლებაზე -1 940,2 ათასი ლარი;

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებებზე - 1 053,0 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პრიორიტეტზე-1 018,6 ათასი ლარი.

მერის სარეზერვო ფონდი მთლიანად სოციალურ პროგრამებზე იქნა განაწილებული და შეადგინა 35.9 ათას ლარი;

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული 15 583,3 ათასი ლარის დანახარჯებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი - 50,0 % (7 787,1 ათასი ლარი) - მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე, რაც ყველა განვლილ წინა წლის პერიოდის მაჩვენებლებს აღემატება.

სამოქალაქო ბიუჯეტი

2022 წლიდან ხარაგაულის მერია მოსახლეობას სამოქალაქო ბიუჯეტს სთავაზობს, რომლისთვისაც 150 000 ლარია გათვალისწინებული. ამ ეტაპზე შვიდი საპროექტო წინადადება დაფინანსდა, რომლებიც კონკურსის წესით გამოვლინდა.

შესყიდვების სამსახური

მიმდინარე წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა სხვადასხვა სახის სახელმწიფო შესყიდვა, რომელთა სახელშეკრულებო ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 9 146 212,45 ლარი. ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 7 660 967.78 ლარის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვით- 875 727.69 ლარის, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, SMP მოდულის საშუალებით- 152 655.82 ლარის, კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე -464 911.16 ლარის.

ყველა ხელშეკრულება გაფორმების თარიღიდან 10 დღის ვადაში იტვირთება და რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რეგისტრირებულ ხელშეკრულებებზე ეტაპობრივად იტვირთება ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურებისა და ასევე გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული სამსახური

2021 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა განაახლა ახალ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში -MSDA.

საანგარიშო პერიოდში მერიაში შემოსულია 6731 კორესპონდენცია, რომლებზეც პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობა 6417-ს შეადგენს.

ამ პერიოდისათვის გამოცემულია 2471 ბრძანება, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 118 განკარგულება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1470 წერილი.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. მიმდინარე წელს მოხდა 119 განაცხადის დამუშავება, მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან ფუნქციონირება დაიწყო ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ.

ამ დრომდე განყოფილებაში შემოვიდა 16 ქეისი, ყველა მათგანზე მოხდა ჯგუფური გასვლა და ადგილზე მდგომარეობის გაცნობა. სოციალური მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე დადებულია დასკვნა. ზოგიერთ შემთხვევაზე საქმე არ დახურულა, განყოფილების მხრიდან მიმდინარეობს ოჯახთა და ბავშვთა მონიტორინგი.

განათლების სამინისტროსთან ერთად, განყოფილებამ მოახდინა ისეთი მოზარდების იდენტიფიცირება, რომლებსაც, მიუხედავად სასკოლო ასაკისა, არასდროს ჰქონიათ მოსწავლის სტატუსი და არ ირიცხებიან არცერთ სკოლაში.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, მერიის კულტურის სამსახური და შესაბამისი მიმართულების ა(ა) იპ -ები, რეგულაციების დაცვით, კვლავ აქტიურად განაგრძობენ საქმიანობას.

წლის განმავლობაში მოეწყო სხვადასხვა სადღესასწაულო, კულტურულ-შემეცნებითი, სპორტულ- ახალგაზრდული ღონისძიება, ასევე ინტელექტ-ჩემპიონატი ,,ეტალონი“, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.

მიმდინარე წელს მერიამ შეიძინა წიგნრვეული ,,პირველკლასელთა აკადემია“,

გაგრძელება ▶ გვ 5

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 10 715 8 ათასი ლარით განისაზღვრა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია მთავარ საფინანსო დოკუმენტზე მუშაობს. საკრებულოს დეპუტატებმა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე განიხილეს და რიგი საბიუჯეტო შენიშვნებით მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაუბრუნეს. გარდა ამისა, მოეწყო ბიუჯეტის საჯარო განხილვა და ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა, თავიანთი ხედვები წარმოედგინა.

როგორც მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, 2022 წლის ბიუჯეტი 10 715 8 ათასი ლარით განისაზღვრა და ძირითადი პრიორიტეტი სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ პროგრამებს მიენიჭა. მისივე ინფორმაციით, ბიუჯეტის პარამეტრების მონაცემების გათვალისწინებით, მომავალი წლის ბიუჯეტში პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა და 2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 1 625.7 ათასი ლარით გაიზარდა სხვადასხვა პროგრამის დაფინანსება.

,,გავზარდეთ სოციალური პროგრამების დაფინანსება, რომელმაც 1 500 000 ათას ლარს გადააჭარბა. პროგრამის ფარგლებში, სისტემატურად ღებულობენ მოქალაქეები ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. ვუფინანსებთ საოპერაციო და სამკურნალო ხარჯებს, მედიკამენტების შეძენას და სხვა.

23 000 ლარით მეტ სუბსიდიას მიიღებს ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი". ეს თანხა ძირითადად მიმართული იქნება კვებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იზრდება მომსახურების არეალიც და უფასო საკვებით მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ბენეფიციარებიც ისარგებლებენ.

საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯება ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რომლის

ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, იმ სოფლებში, სადაც არის ამის საჭიროება, დიდი ყურადღება მიექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის მონესრიგებას. წელს პირველად, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, 150 000 ლარით დაფინანსდება შვიდი პროექტი, რომელთაც პრიორიტეტი თავად მოქალაქეებმა მიანიჭეს.

არ შემიძლია, არ ვისაუბრო სკოლამდელ დაწესებულებებზე, რომლის სუბსიდია 2021 წელთან შედარებით 65,0 ათასი ლარით გაიზარდა და, საერთო ჯამში, 1 630,0 ათასი ლარი შეადგინა. ხარაგაულში ნამდვილად დიდი ყურადღება ექცევა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას და მათ ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მიიღონ შესაბამისი განათლება.

20 000 ათასი ლარი გავითვალისწინეთ ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე. ჩვენ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდულ ინიციატივებს და დავაფინანსოთ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტები."-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

მოგახენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10 275 8 ათასი ლარით. აქედან:

- ქონების გადასახადი -2 100.0 ათასი ლარი;
- დამატებითი ღირებულების გადასახადი - 6 815.8 ათასი ლარი;
-მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -155 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები - 1 160 000 ათასი ლარი, მათ შორის:
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 60 ათასი ლარი;
- შემოსავალი მინის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა.) გადაცემიდან -20 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 30 ათასი ლარი;
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 50 ათასი ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები -1000,0 ათასი ლარი;
-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება - 784,8 ათასი ლარი;
-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება - 2 481,5 ათასი ლარი;
-სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 99,9 ათასი ლარი;
-კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 11,7 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 93,5 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 060,0 ათასი ლარი;
-მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა- 30.0 ათასი ლარი;
-სასმელი წყლით უზრუნველყოფა-235.0 ათასი ლარი;
-გარე განათება-240,0 ათასი ლარი;
-მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია-50,0 ათასი ლარი;
-კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 50.0 ათასი ლარი;
-დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 190,0 ათასი ლარი;
-დასუფთავება და ნარჩენების გატანა- 1 000.0 ათასი ლარი;
-მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 180,0 ათასი ლარი;
-მიუსაფარი ცხოველების მოვლითი ღონისძიებები- 1,0 ათასი ლარი;
-სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება -1 630,0 ათასი ლარი;
-მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი-120.0 ათასი ლარი;
-სამუსიკო სკოლა-148.0 ათასი ლარი;
-სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი-408.0 ათასი ლარი;
-კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა -710.0 ათასი ლარი;
-მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა - 60.0 ათასი ლარი;
-რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა -30,0 ათასი ლარი;
-ახალგაზრდობის მხარდაჭერა- 20.0 ათასი ლარი;
-საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა -147,0 ათასი ლარი;

სოციალური პროგრამები - 1 383,2 ათასი ლარი;

კანონის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს, წარმომადგენლობითი ორგანო თვის ბოლომდე დაამტკიცებს.

ეკა შავიძე

შალვა გერაძის სულიერი სამყარო

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელსა და თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, ვინ იცის, რამდენი საინტერესო ჩანაფიქრი ჰქონდა დაგეგმილი თავისი ერთგული მაყურებლის გასახარებლად, ხარაგაულის კულტურულ ყოფასთან დაკავშირებულ ადამიანთა ღვაწლის წარმოსაჩენად, მაგრამ გლობალურმა პანდემიამ ბევრ ოცნებას შეუკვეცა ფრთები...

და აი, 26 ნოემბერს ინოვაციების ცენტრში, რეგულაციების სრული დაცვით, ხარაგაულის საზოგადოება შეხვდა ცნობილ ფერმწერს, ხატმწერსა და ხატმჭედს, უნიჭიერეს ხელოვანს - ბატონ შალვა გერაძეს, რითაც უფრო ახლოს გაიცნო მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი გზა და ის ბარაქიანი ხნული, რომელიც უფლისგან ბოძებული მადლმოსილი ნიჭიერებითა და იშვიათი შრომისმოყვარეობით გაავლო ხელოვანმა ღვთისა და მოყვასისათვის...

მხატვრული სიტყვის ჩვეული ოსტატობით დაასურათა სახალხო თეატრის წინამძღოლმა ლიტერატურული წარმოდგენა ,,შალვა გერაძის სულიერი სამყარო" და კრიალოსანივით ჩამომარცვლა ის საუკეთესო წლები, შემოქმედებითი ეპიზოდები, რომლებითაც პოპულარული გახდა შალვა გერაძე ჯადოსნურ ფერთა და ჭედურობის უკიდეგანო სივრცეში...

განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა შეხვედრის ორგანიზატორმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, რომ მიმდინარე წლის 19-20 ივნისს უკვე მეექვსედ გაიმართა ხარაგაულში მხატვართა პლენერი ,,გამა" და ყველა პლენერის მონაწილე მხატვარმა უმშვენიერესი ტილოები კიდევ ერთხელ შეჰმატა ლიტერატურული თეატრის მუზეუმს.

შალვა გერაძე 1951 წლის 2 იანვარს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში. ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლისა და სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქუთაისის ავეჯის კომბინატში მხატვარ-შემსრულებლად, სადაც ბრწყინვალედ დაეუფლა ავეჯის მხატვრული დამუშავების მაღალ ტექნოლოგიებს.

1970 წელს აისრულა სანუკვარი ოცნება და გახდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი (გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი. სამრეწველო დიზა-

ინი). აკადემია წარჩინებით დაამთავრა 1975 წელს. შალვა გერაძე 1975 -1992 წლებში სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში დიზაინის განყოფილების გამგეა. ამ წლებში შექმნილი ნამუშევრები ინერგებოდა წარმოებაში და გამოდიოდა სერიულად. სწორედ ამ ნამუშევრებით შალვა გერაძე არაერთ საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენაზე მედლებითა და დიპლომებით ჯილდოვდება. 1979 წლიდან ფერმწერი მხატვართა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან დიზაინერთა კავშირის წევრი ხდება.

1999 წელს ეროვნულ გალერეაში მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა. საყურადღებოა შალვა გერაძის, როგორც პედაგოგის, ღვაწლი და დამსახურება. ხაზი უნდა გაესვას, რომ შალვა გერაძე ფერწერასთან ერთად იშვიათი სიძლიერით მუშაობს გრაფიკაში, ემბლემისა და წიგნის გაფორმების ხელოვნებაში. ძალზე შთამბეჭდავია მის მიერ შესრულებული გორელიეფი და ბარელიეფები ხეში.

განსაკუთრებულია მისი ნიჭიერება ლითონმქანდაკებლობაში, რაც დიდი სიყვარულით აისახება მის მიერ შესრულებულ ხატებში. ეს უკვე ცალკე დიდი სფეროა შალვა გერაძის შემოქმედებისა, რომელსაც დიდი ღვთიური შთაგონება შეჰმატა 2000 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევამ. გაოცებას იწვევს ის მოზღვავებული ძალა, ენერგია და შემოქმედებითი პათოსი, რაც ხატჭედვასთანაა დაკავშირებული. ლიტერატურულ წარმოდგენაზე ვიდეო კოლაჟით მაყურებელმა დიდი სულიერი აღმაფრენა განიცადა იმ ხატების ხილვით, რომლებიც დაბრძანებულია საქართველოს 40 ტაძარში და რომლებშიც ასე ძლიერ იგრძნობა ქართული სული, ქართული იერი.

რაოდენ დიდია უფლის მადლი, რომ შალვა გერაძის ჭედური ღვთისმშობლის ხატი უკრაინაში, კიევ-პეჩორის დიდ ლავრაში, 2011 წელს თვით უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათალიკოს პატრიაქმა ილია მეორემ წააბრძანა.

საყურადღებო ფაქტია, რომ შალვა გერაძე ხატწერასაც თვითონ ასრულებს და ხატჭედვასაც და ლითონში ხატებს სხვადასხვა ფერის თვლებით ამკობს. მარტო გელათის ტაძარში დაბრძანებული დავით აღმაშენებლის ხატი 4 000 თვლითაა მოჭედილი.

***

შალვა გერაძის შემოქმედებითმა სამყარომ დაინტერესა კინორეჟისორი ირაკლი ლომსაძე, რომელმაც შექმნა დოკუმენტური ფილმი ,,ეპოქა და მხატვარი". აღნიშნულმა ფილმმა გაიმარჯვა კიევში დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. აღნიშნული შეხვედრის დროს ნაჩვენებმა ამ ფილმმა კიდევ უფრო მეტი პატივისცემა აღუძრა მაყურებელს მხატვრისადმი და რეჟისორისადმი, სასიხარულოა, რომ ფილმის ჩვენებას რეჟისორი ირაკლი ლომსაძე ესწრებოდა.

ძვირფასო მკითხველო!

მინდა, სიამაყით გაცნობოთ, რომ ირაკლი ლომსაძე ჩვენი თანამემამულეა. იგი ხარაგაულელთა განათლების სათავეებთან მდგომი იაკობ ლომსაძის დიდებული ოჯახის შვილიშვილია.

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე კიდევ ერთხელ მინდა, მადლიერება გამოვხატო ირაკლის მშობელი მამის, ბატონ დემურ ლომსაძის, მიმართ, რომელმაც ძალიან მძიმე, გასული საუკუნის 90-იან წლებში მზრუნველი ხელი გამოუწოდა მესამე საჯარო სკოლის ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს და საკუთარი ფინანსებით ისინი მათს საკლასო ოთახში პარკეტაყრილი ცემენტის იატაკიდან ხის მშვენიერ იატაკზე გადაიყვანა...

***

ლიტერატურული წარმოდგენის დასრულების შემდეგ, დეკანოზმა მამა თომამ (ლაცაბიძე) აღნიშნა: ,,მადლობა უფალს, რომ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც ისეთი ადამიანები იბადებიან, როგორიც შალვა გერაძეა. დარწმუნებული ვარ, თუ ამაღლებული სულიერებისაკენ სწრაფვა არ გაგაჩნია, ამას ვერ შეძლებ. ბედნიერებაა, რომ უფალმა მოგცა ნიჭი და ასეთი ფასდაუდებელი შემოქმედებით უბრუნებ მას შენს ქვეყანასა და შენს ხალხს..."

მხატვრის პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი მადლიერება თბილი სიტყვებით გამოხატეს: მანანა ტაბაშიძემ, ვალერი გოგნაძემ, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ამ წერილის ავტორმა მერი გიორგიძემ კი ინატრა, რომ - დაე, უფლის ნებით, მოჭედოს შალვა გერაძის მარჯვენამ ღვთისმშობლის მშობლების - წმინდა იოაკიმესა და წმინდა ანას ხატი, რომლიც დაბრძანდება პატარა ხარაგაულში, ,,სამგლიის სერზე", ძმები არევაძეების მიერ ამ წმინდანთა სახელზე აგებულ ტაძარში.

ხელოვანთან შეხვედრას ხიბლი შეჰმატეს ცნობილმა ჟურნალისტებმა: ნინო მიქიაშვილმა და ივანე ჯაფარიძემ, რომელთაც ხაზი გაუსვეს მხატვრის ღვაწლს, პროფესიონალიზმსა და იმ დიდი საქმეს, რასაც ხარაგაული

ს სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭე ქალბატონი იზა ვეფხვაძე ახორციელებს.

ძალზე შთამბეჭდავი იყო შალვა გერაძის - უნიჭიერესი ხელოვანისა და საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის - სიტყვა, რომელშიც აშკარად გამოიკვეთა ღვთიურ საქმესთან მისი დამოკიდებულება, ის დიდი სიმშვიდე, რასაც მას ანიჭებს ხატზე მუშაობის პროცესი და ის მოქალაქეობრივი მისია, რაც აკავშირებს მხატვარს საკუთარ ოჯახთან, საზოგადოებასთან და სრულიად საქართველოსთან.

***

ფერმწერი, ხატმწერი და ხატმჭედი შალვა გერაძე დღესაც დიდი ინტერესით, ღრმა რწმენით, პროფესიული ოსტატობითა და სულიერი სიმშვიდით ემსახურება საყვარელ საქმეს და სწამს, რომ ქართველთა შორის სიყვარულითა და ურთიერთანხმობით ნამდვილად გაბრწყინდება ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია!

ისმინოს უფალმა

ამინ!

მერი გიორგიძე

ხარაგაულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის კინომოყვარულთა წრის მიერ გადაღებულმა ფილმმა გამარჯვება მოიპოვა

რამდენიმე კვირის წინ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „თბილისური აისი," რომელშიც წარმოდგენილი იყო 31 ქვეყნის 68 ფილმი. ჟიურიმ, რომელიც შედგებოდა ქართველი, ამერიკელი, ბელგიელი და უკრაინელი კინემატოგრაფისტებისგან, გრანპრი მიანიჭა ესპანურ ფილმს, ხოლო ნომინაციაში „საუკეთესო ფილმი ბავშვთა უფლებებზე" ხარაგაულის მოსწავლეთა სახლის კინომოყვარულთა წრის მიერ გადაღებულმა ფილმმა -„მარტოსული"- გაიმარჯვა.

როგორც ხარაგაულის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის დირექტორი მაია ბლუაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, მესამე წელია, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კინომოყვარულთა წრე ფუნქციონირებს და მისი პედაგოგი თინათინ კიკნაძეა. „ბოლო წლებია, ვმეგობრობთ „პიონერფილმთან" და მის ხელმძღვანელ გრიგოლ ჩიგოგიძესთან. მათი მხარდაჭერით მივიღეთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა, რომლის შედეგადაც ორი წლის წინ პრიზი და კინოკამერა გადმოგვეცა საჩუქრად, ხოლო წელს ერთ-ერთ ნომინაციაში გავიმარჯვეთ. მიუხედავად პანდემიისა, რეპეტიციების გავლასა და ფილმის გადაღებას, რეგულაციების დაცვით, მაინც ვახერხებდით. მადლობა კინომოყვარულთა წრის პედაგოგსა და მოსწავლეებს თავდაუზოგავი შრომისათვის," - განაცხადა მაია ბლუაშვილმა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა დეპუტატებს საბიუჯეტო ცვლილება წარუდგინა. ცვლილების თანახმად, 4 000 ლარით გაიზარდა ა(ა) იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება, რომელიც საჭიროა მოქალაქეთა ვაქცინაციისა და დატესტვის მიზნით ტრანსპორტირების ხარჯის დასაფარავად;

ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობის კვებისათვის, კოვიდინფიცირებულთა ბინაზე მომსახურებისათვის და სხვა ხარჯებისათვის დამატებით 14 000 ლარი გამოეყო ა(ა) იპ ,,სათნოების სახლს“;

სხვადასხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად, 12 000 ლარით შეივსო მერის სარეზერვო ფონდი;

150 ათასი ლარი გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად. როგორც მომხსენებელმა განმარტა, ,,ავტომობილები, რომლებიც ამჟამად ექსპლუატაციაშია, ამორტიზებულია და მათს მოვლასა და შეკეთებაზე ყოველწლიურად დიდი ოდენობით თანხები იხარჯება, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოხდეს ორი ავტომანქანის შეძენა, რომლებიც მოემსახურება მერიასა და საკრებულოს.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ აღნიშნული ხარჯის გასაწევად შესაძლებელია, გამოყენებული იყოს 2021 წლის სანებართვო მოსაკრებლიდან გადაჭარბებით მიღებული 80,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) მიღებული შემოსულობები 30, 0 ათასი ლარი და ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ საკუთარი სახსრებით მიღებული ეკონომია 40,0 ათასი ლარი.

საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში 21 905, 4 ათასი ლარით განისაზღვრა. საკრებულომ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება დაამტკიცა.

მარიამ შარიქაძე

ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში, ამჟამად შემდეგი სამუშაოები ხორციელდება: სუსტი გრუნტების ექსკავაცია, შევსება ქვიშახრეშით და დატკეპნა, ასევე ბეტონის სანიაღვრე მილების მოწყობა, საფუძვლის რეციკლირება და საფარის ქვედა ფენის მსხვილმარცვლოვანი ცხელი ასფალტ-ბეტონის დაგება, სისქით 6 სმ.

პროექტის ღირებულება 14,288,887 მილიონი ლარია.

საერთო ჯამში, რეაბილიტაცია 21-კილომეტრიან მონაკვეთს ჩაუტარდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,New Road“ ახორციელებს.

ეკა შავიძე

ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნევში ახალი საბავშვო ბაღი აშენდება. ამის შესახებ ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მოგვაწოდა. მისივე ინფორმაციით, ,,2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, ხუნევის ბაღის მშენებლობისთვის თანხა უკვე გამოიყო და ტენდერიც გამოცხადდა.

,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს ხარაგაულში 8 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა. აქედან შვიდის რეაბილიტაცია განვახორციელეთ, 12 კი ახალი ავაშენეთ. ხუნევის საბავშვო ბაღი არის ერთადერთი ძველი შენობა, რომელიც შემოგვრჩა და სულ მალე აქ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა გვექნება.“-განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ახალი საბავშვო ბაღი 30 აღსაზრდელზე იქნება გათვლილი და მშენებლობა 2022 წელს დასრულდება. პროექტის ღირებულება 619 170 ლარია.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მერია შეჭირვებულ ოჯახებს საშეშე მერქანს გადასცემს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმდინარე წელს უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისათვის საშეშე მერქნის შესაძენად 20 000 ლარი გამოყო. როგორც ჩვენთან საუბარში მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, საშეშე მერქნის შეძენა ორ ეტაპად განხორციელდა და, საერთო ჯამში, 100 ოჯახი დაკმაყოფილდება.

,,უკიდურესად შეჭირვებული ოჯახებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მოხდა 105 კბ.მ. საშეშე მერქნის შეძენა, რომლის დარიგება დაწყებულია. დამატებით კიდევ იგეგმება შეძენა. მაქსიმალურად ვცდილობთ, არავინ დავტოვოთ უყურადღებოდ და ყველა ოჯახი მოვიცვათ. პროგრამის ფარგლებში სულ 210 კბ.მ. საშეშე მერქნის შესყიდვა მოხდება.“-აცხადებს მერის პირველი მოადგილე.

კიცხის საჯარო სკოლა ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო ჰრემიის 2021-ის'' გამარჯვებულია

პროექტი ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ საქართველოში ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით, რამდენიმე წელია, ხორციელდება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული ხარაგაულის საჯარო სკოლები.

მიმდინარე წელს პროექტში გამარჯვება კიცხის საჯარო სკოლის ეკოკლუბმა მოიპოვა (პედაგოგი ელისო არჯევანიძე), რომელიც ექვსი ათასლარიანი ვაუჩერით დასაჩუქრდა.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის იმერეთის რეგიონალური კოორდინატორი მაია კეზევაძე ხარაგაულს პირადად ესტუმრა და გამარჯვებულებს სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები გადასცა.

,,მიმდინარე წელი გამორჩეულად კარგი იყო იმერეთისთვის და, განსაკუთრებით, ხარაგაულისთვის. იმედი მაქვს, რომ მომავალი წლიდან მეტი სკოლა ჩაერთვება პროექტში და ჩვენ არაერთხელ ვიზეიმებთ პრემიის ლაურეატობას. პროექტს ამ ეტაპზე სულ 10 გამარჯვებული ჰყავს და, მათ შორისაა, კიცხის საჯარო სკოლის ეკოკლუბი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნომინაციაში ,,საუკეთესო სპიკერი“ კიცხის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე შოთა ზვიადაძე დასახელდა.“-დასძინა ქ-ნ მაიამ.

კიცხის საჯარო სკოლის პედაგოგი და ეკოკლუბის ხელმძღვანელი ელისო არჯევანიძე: ,,გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდით, თუმცა ყველამ ერთად ბევრი ვიშრომეთ, რომ კარგი შედეგი გვქონოდა. მიხარია, რომ ეს შრომა დაგვიფასდა და ჩვენი სკოლა ვასახელეთ. გვახარებს და გვეამაყება მიღწეული წარმატება. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში გვერდით გვედგა. პროექტში მოგებული თანხით, კიცხის საჯარო სკოლის ეზოს გამწვანებას ვაპირებთ, დაგეგმილი გვაქვს პატარა სკვერის მოწყობაც. მოვუწოდებ ყველა სკოლას, არ გამოტოვონ ეს შესაძლებლობა და ჩაერთონ პროექტში, რომელიც ნამდვილად ინოვაციურია და მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას აძლევს.“

პროექტის მონაწილე და ,,საუკეთესო სპიკერი“ შოთა ზვიადაძე: ,,თავიდანვე ძალიან დიდი ენთუზიაზმით ჩავერთეთ პროექტში და ჩვენი მონდომება აისახა კიდეც შედეგებში. წლის განმავლობაში არ გავჩერებულვართ, გვქონდა სხვადასხვა საინტერესო აქტივობა და ძალიან გახარებული ვარ, რომ გავიმარჯვეთ. რაც შეეხება საუკეთესო სპიკერად დასახელებას, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. მსგავსი ტიტული მოპოვებული მაქვს რამდენიმე კონკურსში. სამომავლოდ აუცილებლად განვაგრძობთ მსგავს პროექტებში მონაწილეობას. ახლა კი მოუთმენლად ველოდებით, როდის დაიწყება სკოლის ეზოს გამწვანების სამუშაოები.“

შეგახსენებთ, რომ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2021-2022 სასწავლო წლისათვის უკვე დაიწყო და მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ აღნიშნულ პროექტში.

მარიამ შარიქაძე

ხარაგაულის მერი ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის პლატფორმა 2021-ის კონფერენციას ესწრო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის პლატფორმა 2021-ის კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ძირითადი თემები გახლდათ: საქართველოს დეცენტრალიზაციის 2020 – 2025 წ.წ. სტრატეგიის განხორციელების პროგრესი, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა, გამოწვევები და წარმატებული ისტორიები საქართველოში, კარგი მმართველობის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.

როგორც ხარაგაულის მერი განმარტავს, ,,შეხვედრაზე ძირითადად განხილული იყო, როგორია ნდობა და მოლოდინი დეცენტრალიზაციის მიმართ საქართველოში. გარდა ამისა, განვიხილეთ ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობის, მმართველობის ხარისხის, მუნიციპალური სერვისების მიწოდებისა და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებული გამოწვევები, დაგეგმილი რეფორმები და ინოვაციური მიდგომები. პოლონეთის მხარის მიერ გაზიარებული იქნა კარგი მმართველობის პრაქტიკა“.

შეგახსენებთ, რომ კონფერენცია, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, ექსპერტების, დონორებისა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით, ორი დღის განმავლობაში გრძელდება.

ეკა შავიძე

ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში ერის წარმომადგენლად ლევან ბოგოლაძე დანიშნა

ახალგაზრდა კადრების დასაქმება და მიგრაციის შეჩერება რომ ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია, ეს არაერთხელ უთქვამს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. ამ ფაქტს ისიც მოწმობს, რომ ხარაგაულში საჯარო სამსახურში გზა ფართოდ გაეხსნათ ახალგაზრდებს. სულ რამდენიმე ხნის წინ, მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთი საკადრო გადაწყვეტილება მიიღო. ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად ლევან გოგოლაძე დანიშნა. ლევანი ვახანში დაიბადა და გაიზარდა. პროფესიით ეკონომისტია, ამ დრომდე კერძო სექტორში საქმიანობდა. რა გეგმები აქვს ლევანს და რა იქნება მის საქმიანობაში ძირითადი პრიორიტეტი, ამის შესახებ პირადად გვესაუბრება.

-პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო ,,ქართული ოცნების“ გუნდს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, რომლებმაც ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნდობა გამომიცხადეს. მაქსიმალურად შევეცდები, ეს ნდობა გავამართლო და ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში ბევრი კარგი და საჭირო პროექტი განვახორციელო. როდესაც გაქვს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა, ვფიქრობ, საქმიანობა გაცილებით ადვილია. უკვე რამდენიმე ხანია, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე და არ მახსენდება არცერთი საკითხი, რომელიც დამიყენებია ხელმძღვანელ პირებთან და უყურადღებოდ დარჩენილა. ჩემი გუნდის წევრები ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ნებისმიერ თემას და ეს აისახება კიდეც იმ შედეგებში, რაც დღეს მუნიციპალიტეტს აქვს.

რაც შეეხება ჩემს გეგმებს, გეტყვით, რომ დიდი სურვილი მაქვს ის პრობლემები, რაც დღეს ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებს აწუხებს გადაიჭრას და სოფელი უფრო განვითარდეს. ბევრი დაუბრუნდეს მშობლიურ ფუძეს და მიგრაცია შეჩერდეს. მე კი ჩემი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში, რაც შემეძლება, გვერდით დავუდგები თითოეულ ოჯახს.

-ბოლო წლების განმავლობაში ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში საკმაოდ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. გვესაუბრეთ, ძირითადად რას მიენიჭა პრიორიტეტი და რა იგეგმება სამომავლოდ?

-ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, მობეტონდა სოფლის ცენტრალური გზა, რეაბილიტირდა სერბაისისა და ზედუბნის საუბნო გზები, არევაძეებისა და ინასარიძების უბნებში მოეწყო ხიდ-ბოგირი. ვახანს ამშვენებს ისტორიული ციხესიმაგრე, რომლის მისასვლელი გზა იყო ამორტიზებული და მოწესრიგდა. გარდა ამისა, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა საექიმო ამბულატორიაში. ყოველწლიურად მცირე პროექტები ხორციელდება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს გვაქვს სრულიად განსხვავებული სოფელი, ვიდრე იყო წლების წინ.

რიგ უბნებში გვაქვს შესაკეთებელი გზები და სასმელი წყლის სისტემა მოსაწესრიგებელი, რომლებზეც აქტიურად ვმუშაობთ.

ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ზედუბანში ჭაბურღილის მოწყობა, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს ზედუბნის მოსახლეობას. ასევე 2022 წელს დაგეგმილია ინასარიძეების უბნის სამანქანო გზის კეთილმოწყობა.

-ბატონო ლევან, როგორია ადგილობრივთა სოციალური მდგომარეობა. ძირითადად მოქალაქეები რა საკითხებზე მოგმართავენ?

-სოციალური თემა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება და მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა პანდემიამ. ჩვენ, რაც შეგვიძლია, მაქსიმალურად ვეხმარებით შეჭირვებულ ოჯახებს. მოქალაქეები სისტემატურად სარგებლობენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამებით, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით, მედიკამენტების დაფინანსებით და სხვა. მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია სოფლის მეურნეობით. სოფელში არის საჯარო სკოლა და ბაღი, რომლებშიც დასაქმებული არიან ადგილობრივები.

ძირითად პრობლემად რჩება ტრანსპორტი. მოგეხსენებათ, პანდემიის გამო გაუქმდა თბილისი-ქუთაისის მატარებლის მიმოსვლა და მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოხატავენ ამის გამო. იმედს ვიტოვებ, რომ ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება და მოძრაობა ჩვეულ რეჟიმში აღდგება.

-და ბოლოს, რას ეტყოდით ადგილობრივებს?

-ადგილობრივებს ვეტყვი, რომ ჰქონდეთ ჩემი გვერდში დგომის იმედი, თითოეულ მათს პრობლემას მივიღებ ისე, როგორც საკუთარს. ჩემი მიზანია, ამ ადამიანებს უკეთესი ცხოვრების პირობები შევუქმნა და გაგრძელდეს იმ პროექტების განხორციელება, რაც მათთვის პრიორიტეტია.

ვიზრუნებ, რომ სოფელი განვითარდეს ტურისტული კუთხით და სოფლის ღირსშესანიშნაობები გაიცნონ ქართველმა და უცხოელმა ტურისტებმა.

სოფელში ყველა ოჯახს კარგად ვიცნობ, ვიცი მათი საჭიროებები და მოთხოვნები და ნებისმიერი ჩემი გადაწყვეტილება სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით იქნება მიღებული.

აქტიურად ჩავერთვები, რათა მეტი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდეს ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა ნაწილობრივ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა

დასაწყისი ▶ გვ 1-2.

რომელიც 219 პირველკლასელს საჩუქრად გადასცა.

მუნიციპალიტეტის სამი სასოფლო ბიბლიოთეკის განყოფილება ჩაერთო პროექტში ,,კომპიუტერი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, მათ გადაეცათ კომპიუტერების სრული აღჭურვილობა. 2021 წელს მოხდა 22 სასოფლო ბიბლიოთეკაში მომუშავე თანამშრომლებისათვის ხელფასების მომატება.

ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით, ხარაგაულელი ახალგაზრდები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამართულ ჩემპიონატებში.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში, თეატრი დაჯილდოვდა ორ მთავარ ნომინაციაში.

აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაღებულ იქნა ხარაგაულის თეატრის სპექტაკლი ,,ორნი“. ეს უკვე მესამე სპექტაკლია, რომელიც ტელევიზიამ გადაიღო.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა ხარაგაულსა და ღორეშაში მოაწყო ახმედ გოგოლაძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია, ხოლო ფარცხნალში გალაკტიონ ტაბიძის აღნიშნულ სოფელში ერთწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი წიგნის -,,გალაკტიონის ნატერფალებზე“-პრეზენტაცია. თეატრის ორგანიზებით, ჩატარდა მხატვართა პლენერი ,,გამა“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მხატვრები.

ეკონომიკა და ქონების მართვა

2021 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც 2022 წლის თებერვლამდე დასრულდება. ინვენტარიზაციაში ჩართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია („სათეფა“). ამ ეტაპზე უკვე მოხდა 400-მდე ობიექტის აღნუსხვა და ერთიან ბაზაში მოქცევა.

ჩატარდა ელექტრონული აუქციონები, რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონება. პრივატიზაციის თანხებიდან ბიუჯეტში შემოვიდა 78641 ლარი და გეგმა შესრულდა 262%-ით.

მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ლაშის იგორეთში 19 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსდა სასმელი წყლის მიწოდების მიზნით საჭირო ინფრასტრუქტურა. ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემულ იქნა ასევე ვარძიაში (150 კვ.მ), ღორეშაში (90 კვ.მ) და ზვარეში (432 კმ.მ) არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, ხარაგაულში სოლომონ მეფის N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი უნივერმაღი). შენობის მდგრადობის შესწავლის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსთან და პასუხი ახლო მომავალში იქნება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნით, განხორციელდა მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. კერძოდ: ბორითში არსებული 4149 კვ.მ მიწის ნაკვეთი სახანძრო-სამაშველო სამსახურის განსათავსებლად, ხევში 412 კვ.მ მიწის ნაკვეთი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის.

გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება-სოფელ ხევში 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ამბულატორიის მშენებლობისთვის;

ყოველთვიურად ხორციელდება დასუფთავების მოსაკრებლისა და იჯარის ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხების ბიუჯეტში შემოსვლა.

დასუფთავების მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 52822 ლარი (გეგმა შესრულდა 117,4%-ით).

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის მხრიდან შემოსული წერილების განხილვა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხებზე მუშაობა. ასევე გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მშენებლობისათვის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება მოხდა 35 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე;

სამშენებლო პროექტების შეთანხმება -48 სხვადასხვა ობიექტზე;

მშენებლობის ნებართვა გაიცა 39 ობიექტზე;

მიმდინარე წელს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 90287 ლარი.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის ხუთი ფაქტი. თითოეულ მათგანს მიეცა მითითება სათანადო ოქმის საშუალებით, ზოგიერთი კი დაჯარიმდა გარკვეული თანხით.

სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახური

საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან, საჯარო სკოლებიდან და ორგანიზაციებიდან მოხდა 2004 წელს დაბადებული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე. საერთო ჯამში, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 215 ჭაბუკი. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები და განთავსდა შესაბამის კარტოთეკაში.

2021 წლის თებერვალ-ივლისში დაიწყო საგაზაფხულო გაწვევა. გეგმა-დავალებით განსაზღვრულია 18 წლის ჩარიცხვა. გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 171 წლის მამაკაცი, აქედან კანონის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 11, გადავადება მიიღო 148 წლის მამაკაცმა, 12 კი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფში.

მიმდინარე წლის 2 აგვისტოდან 25 დეკემბრამდე მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა. გეგმა-დავალებით განსაზღვრულია 18 წლის ჩარიცხვა. ამ პერიოდისათვის უკვე მოხდა 13 წლის ჩარიცხვა.

თავდაცვის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება ,,დიდგორი-2021“, რომელშიც აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის სამხედრო სამსახური. მოქმედებს გეგმით გათვალისწინებული გამოძახებები და სრულ მზადყოფნაში გვყვანან ის რეზერვისტები, რომლებიც ექვემდებარებიან გამოძახებასა და სწავლის გავლას დისლოკაციის ადგილზე.

ეკა შავიძე

ხარაგაულის საკრებულოში მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის მოგვარებაზე იმსჯელეს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე მიუსაფარ ცხოველთა მოვლა-პატრონობის საკითხზე იმსჯელეს. სხდომას კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე ხელმძღვანელობდა, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი - დაბაში.

,,2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მიუსაფარი ცხოველების მოვლისა და პრევენციული საკითხებისათვის 8000 ლარი იყო გათვალისწინებული. 2022 წელს მერიამ ამ მიმართულებით 10 000 ლარი დაგეგმა. თუმცა, საკითხის სიმწვავის გამო, შესაძლოა, ეს თანხა დამატებით კიდევ 6000 ლარით გაიზარდოს. მიუსაფარი ცხოველების პრობლემა ყველა მუნიციპალიტეტში აქტუალურია. სწორედ ამიტომ, კარგი იქნება თუ, იმერეთის მასშტაბით, ცხოველთა თავშესაფარი აშენდება",-განმარტა დავით კიკნაძემ.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექტორის ბესიკ კვირიკაშვილის ინფორმაციით, მათ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული ოზურგეთში ერთ-ერთ სამსახურთან, სადაც ხარაგაულიდან მიჰყავთ მიუსაფარი ძაღლები კასტრაცია- სტერილიზაციაზე. ,,მიმდინარე წელს 40 ძაღლზე შევისყიდეთ მომსახურება, თუმცა ეს საკმარისი

არაა, რადგან უპატრონო ცხოველების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. უშვებენ, ოჯახებიდან და ტოვებენ ქუჩაში, რაც ნამდვილად მიუღებელია. ვფიქრობ, ყველა რაიონმა ერთობლივად უნდა იზრუნოს ამ საკითხის მოგვარებაზე",-აღნიშნა ბესიკ კვირიკაშვილმა.

კომისიის წევრებმა საკითხის შესახებ ერთმანეთს მოსაზრებები გააცნეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის მართვისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, მოძიებულ იქნენ ადგილობრივი სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ სურვილი გადამზადებისა, აიღონ შესაბამისი სერტიფიკატი და ხარაგაულში ჩაატარონ ცხოველთა კასტრაცია/სტერილიზაცია და ყველა საჭირო მომსახურება.

სპეციალისტების მოძიება-გადამზადება ვეტერინარული სამსახურის უფროსს, ავთანდილ ვეფხვაძეს, დაევალა.

კომისიის სხდომაზე ასევე იმსჯელეს მიუსაფარი ცხოველების თავშესაფრის და გამოსაკვებად სპეციალური სადგომების მოწყობაზე.

როგორც ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, განმარტა, ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

დასასრულს, დავით კიკნაძემ განაცხადა, რომ პარალელურად თითოეულმა ხელი უნდა შეუწყოს ლამარა მესხის აქციას, რომელიც მიზნად ისახავს მიუსაფარი ძაღლების გამოკვებისთვის ყოველთვიურად ერთი ლარის ჩარიცხვას სპეციალურად შექმნილ საბანკო ანგარიშზე.

აქვე გეტყვით, რომ ხარაგაულში მიუსაფარ ცხოველთა პრობლემის მართვის საინიციატივო ჯგუფი უახლოეს მომავალში კომისიის წევრებისაგან და დაინტერესებული ადამიანებისაგან დაკომპლექტება.

მარიამ შარიძაძე

ხარაგაულში, ე.წ ,,დევების'' მიმდებარე ტერიტორიაზე, რეკრეაციული სივრცე მოეწყობა

იმერეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭომ ,,დევების" რეაბილიტაციის პროექტი მოიწონა. პროექტი, ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში, 282 000 ლარით დაფინანსდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი განმარტავს, ხარაგაულში, ე.წ. ,,დევების" ტერიტორიაზე, ახალი რეკრეაციული ზონა შეიქმნება და, ტურისტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იქნება.

,,სულ მალე ,,დევების" განახლებული მონუმენტი გვექნება. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდება მიმდებარე სკვერს, გაიზრდება რეკრეაციული ზონა, გაკეთდება მანქანების სადგომი და განათების ახალი სისტემა. ასევე, იგეგმება ხელნა-

კეთი ნივთებისთვის შესაბამისი სივრცის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება, რეგულარულად ან ღონისძიებების დროს, მოხდეს ადგილობრივი ნაწარმის რეალიზება. მივესალმები აღნიშნული პროექტის დაფინანსებას, რადგან ,,დევები" ხარაგაულისთვის სავიზიტო ბარათია. ეს არის ადგილი, რომელიც, წარსულიდან მოყოლებული, ახსოვს ყველა სტუმარს. რამდენჯერმე განხორციელდა მისი რეაბილიტაცია, თუმცა ასე კომპლექსურად, რასაც ახლა ვაკეთებთ, არასდროს მომხდარა. " -აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

კობა ლურსმანაშვილი ჩვენთან საუბარში აანონსებს, რომ სამომავლოდ ასევე იგეგმება ,,ცაშეკრულას" კანიონისა და ხანდების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

,,იდეაშია, რომ დევების გამოქვაბულიდან ხანდების, ,,ცაშეკრულას" კანიონისა და ,,დევების მონუმენტის" ჩათვლით, ერთიანი სარეკრეაციო ზონა მივიღოთ.

ხარაგაული სარგებლობს იმ შეთავაზებებით, რომელთაც, საპილოტე პროგრამის სახით, აკეთებს საქართველოს მთავრობა და, ცხადია, ეს შესაძლებლობა გაალამაზებს და ბევრად უკეთესს გახდის ჩვენს მუნიციპალიტეტს. გეტყვით იმასაც, რომ მას შემდეგ, რაც წყალარინების სამუშაოები დასრულდება, დაბაში საგზაო ინფრასტრუქტურა აღდგება, ასევე ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, სრულიად განახლებული შენობები გვექნება" -აცხადებს მუნიციპალიტეტის მერი.

ინფორმაციისათვს, ,,დევებისა" და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია 2022 წელს დასრულდება.

ეკა შავიძე

კაცი, რომელიც დაპკლდა სრულიად საქართველოს და, უპირველესად, მშობლიურ ხარაგაულს

(ფერწერის დიდოსტატ ლევან ცუცქურიძის ხსოვნას)

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა ხელოვნებამ. 2021 წლის 17 ნოემბერს, 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, მონუმენტური ფერწერის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ანდერსენ-ნექსეს სახელობის საერთაშორისო დიპლომის მფლობელი, ხელოვნების ქურუმი, საპატიო ხარაგაულელი, პროფესორი ლევან ცუცქირიძე.

ლევან სიმონის ძე ცუცქირიძე დაიბადა 1926 წლის 12 იანვარს. 1946 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი (ფერწერისა და გრაფიკის კლასები), რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, სწავლას განაგრძობს სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში პროფესორ სერგო ქობულაძის ხელმძღვანელობით. 1960-1963 წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრაზე. 1967-1975 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხატვის კათედრის დოცენტი. 1990 წელს ლევან ცუცქირიძე გახდა სამხატვრო აკადემიის პროფესორი. ბატონმა ლევანმა ღირსეული კვალი აღბეჭდა ეროვნულ ქართულ ხელოვნებაში. 1960-იანი წლების შუა ხანებში შექმნა ილუსტრაციები ,,ვეფხისტყაოსანზე". კონკურსის მრავალ მონაწილეთაგან გამორჩეული იყო ლევან ცუცქირიძის ილუსტრაციები ფილოსოფიური გააზრებითა და თითოეული ეპიზოდის შესატყვისი იდეური აღქმით. რომლის მიხედვით, უკვდავი პოემა ორჯერ გამოიცა გერმანიაში გერმანულენაზე.

მასვე ეკუთვნის ილუსტრაციები იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამების", ვაჟა-ფშაველას (,,სტუმარ-მასპინძელი", ,,გველისმჭამელი", ,,გიგლია" და სხვა.), ალექსანდრე ყაზბეგის (,,ხევისბერი გოჩა"), გრიგოლ ორბელიანის (,,სადღეგრძელო"), გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა შემოქმედთა თხზულებებისათვის.

უნიჭიერესი ფერმწერის მიერ შესრულებული ვრცელი პანოები ამშვენებს თბომავალ ,,შოთა რუსთაველს", ფოთის საზღვაო პორტის ადმინისტრაციულ შენობას. მან შექმნა ესკიზები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პანოსათვის. ბატონ ლევანს ეკუთვნის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საავტორო პირები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ფრესკების ნაწილი უკვე განადგურებულია.

1980 -იანი წლების დამლევს ლევან ცუცქირიძემ მოხატა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი. 1998 წელს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ (,,არსი") ოთხ წიგნად გამოსცა მის მიერ დასურათებული ,,წმინდა ოთხთავი", რომელიც ძველბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ.

როგორც პორტრეტისტმა, ლევან ცუცქირიძემ ამ ჟანრში შექმნა რამდენიმე ათეული საყურადღებო ნამუშევარი.

დიდი ფერმწერის პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო თბილისში 1959 წელს. ამის შემდეგ მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო: მოსკოვში, გერმანიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიაში, იუგოსლავიაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. გოეთეს ,,ფაუსტის" მიხედვით შექმნილი მისი ნამუშევრები გამოფენილია ვაიმარში, გოეთეს სახლ-მუზეუმში.

ლევან ცუცქირიძის ნახატები გამოფენილია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2007 წელს მისი ნამუშევრები გამოიფინა თბილისში, გოეთეს ინსტიტუტში. 1990 წელს ლევან ცუცქირიძის ფასდაუდებელ შემოქმედებაზე მოსკოვში გამოიცა მონოგრაფია მ. კარბელაშვილის ავტორობით.

ფერწერის დიდოსტატი იყო დიდი პატრიოტი, დიდი მამულიშვილი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი ,,ადგილის დედა" , თავისი ხარაგაული. ამის დასტურია მხატვრის მიერ ხარაგა

ეკა შავიძეულის ისტორიული მუზეუმისათვის გადმოცემული საკუთარი და 40-მდე მხატვრის 278 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ლევან ცუცქირიძის სახელობის სახვითი ხელოვნების დარბაზი, რომლითაც უამრავი დამთვალიერებელი ინტერესით ეცნობა ფერწერის დიდოსტატის ღვაწლს, იმ ნათელ კვალს, რომელიც მარადიულ სიცოცხლესთან თანაზიარს ხდის დიდ ხელოვანს.

დიდო ხელოვანო და დიდო მამულიშვილო, საპატიო ხარაგაულელო, ბატონო ლევან! ქართულ საზოგადოებასთან ერთად ზეციური საქართველოსაკენ მიმავალ გზას დაგილოცავს შენი სამკვიდრო, შენი ხარაგაული. მარადიული მშვიდობა შენს დამაშვრალ სულს!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ისტორიული მუზეუმი.

მადლობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშის მცხოვრებლები, მადლიერებას გამოხატავენ, ამავე სოფელის მკვიდრის, აფხაზეთის ომის მონაწილე, დავით იჩქიტიძის, მიმართ. როგორც ადგილობრივები აცხადებენ დავითი სოფლისთვის საიმედო და დასაყრდენი ადამიანია. ის სრულიად უანგაროდ გვერდით უდგას თითოეულ ოჯახს და შეძლებისდაგვარად ეხმარება. აქტიურადაა ჩართული ყველა იმ საკითხის მოგვარებაში, რაც სოფლისთვის საჭირო და აუცილებელია.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12